ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს თსუ ჰუმანიტარული და იურიდიული ფაკულტეტების ბაკალავრიატის II და III სასწავლო წლის სტუდენტებისთვის კადისის უნივერსიტეტში (კადისი, ესპანეთი http://www.uca.es) გაცვლითი სტუდენტის სტატუსით ერთი სემესტრით სწავლის უფლების მოსაპოვებლად (2010/11 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა ესპანური ენის ცოდნა.
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ბიოგრაფია/CV (ქართულ და ესპანურ ენებზე)
- მოტივაციის წერილი (ესპანურ ენაზე)
- აკადემიური მოსწრების ფურცელი (ქართულ ენაზე, დეკანატის ბეჭდითა და შესაბამისი ხელმოწერით დამოწმებული)
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ
- პასპორტის ასლი
- სასურველია ესპანური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი

კადისის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ესპანურენოვანი სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე: http://www.uca.es

<u>კადისის უნივერსიტეტი გაცვლით სტუდენტს ათავისუფლებს სწავლების გადასახადისაგან. სტუდენტის ესპანეთში ყოფნის ყველა სხვა ხარჯი (ბინა, კვება, მგზავრობა და სამედიცინო დაზღვევა) უნდა დაიფაროს სტუდენტის მიერ.</u>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა:
2010 წლის 29 ოქტომბრის 12 საათი;
დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ანი ჭელიშვილს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში;

მისამართი:
თსუ მეორე კორპუსი,
მეორე სართული,
ოთახი 237; ტელ: 25 02 12